პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 18 (3502)

27

1968 წ. იანვარი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



სოხუმელმა მოცურავემ ლ. მარლანიამ შარშანწინ გამოიჩინა თავი — ნიჭიერი ქალიშვილი ჩარიცხეს საქართველოს ნაკრებში, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ემზადებოდა. ლიუდამ იმედი გაამართლა: გუნდს ქულებიც შესძინა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. მარლანია ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ლენინგრადელთა ტრიუმფი

ვესტეროსი, 25 იანვარი. ევროპის ფიგურისტთა აქ მიმდინარე ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის პირველი ორი საფეხური წუხელ ლენინგრადელებმა დაიკავეს: უმაღლეს საფეხურზე ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი ავიდნენ, მეორეზე კი — თ. მოსკვინა და ა. მიშინი.

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა — ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა კონტინენტის საუკეთესო წყვილის ოქროს მედლები მეოთხედ მოიხვეჭეს. არტისტიზმით ალსავსე, კლასიკურ მ უ ს ი კ ა ლ უ რ ფ ო ნ ზე აგებულმა მათმა ნებისმიერმა პროგრამამ 6 ათასი მაყურებლის აღტაცება და მსაჯების მოწონება გამოიწვია. მიმდინარე ტურნირში პირველად 9 არბიტრიდან ერთმა (ფრანგმა ჟანინ დონიე-ბლანმა) ამ წყვილის გამოსვლა უმაღლესი ქულით შეაფასა — 6!

მაგრამ სანამ კვარცხლბეკზე ავიდოდნენ, ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა დარბაზის ტაშის გრიალში ჯერ თანაქალაქელები — ამ დღის ჭეშმარიტი გმირები მოსკვინა და მიშინი გადაკოცნეს. სავალდებულო პროგრამის შემდეგ VI ადგილზე მყოფმა ამ წყვილმა ბრწყინვალედ შეასრულა რთული, საუცხოოდ აგებული ნებისმიერი პროგრამა. და აი, ნამდვილი სენსაცია, თანაც იმდენად მოულოდნელი, რომ მედლის გადასაცემად დიდხანს მოუხდათ მოსკვინას ძებნა, რომელსაც საპრიზო ადგილზე გასვლის იმედი გადაწურული ჰქონდა. მიშინიც ასევე ფიქრობდა — მან ციგურებიც კი მოიხსნა — ყინულზე გასვლა აღარ მომიხდებაო.

ფიგურისტებზე არ ამბობენ: სპორტული გმირობა ჩაიდინაო. მაგრამ თავად განსაჯეთ: სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედლების მფლობელებმა პირველად მოიპოვეს „კონტინენტის ვერცხლი" — ერთბაშად ჩამოიტოვეს ევროპის 1967 წლის ჩემპიონატის პრიზიორები — შტაინერი — ვალტერი (გდრ) და გლოკსჰუბერი — დანე (გფრ), აგრეთვე, ჰაუსი — ჰეფნერი (გფრ) და ახალგაზრდა მოსკოველთა დუეტი—ი. როდნინა და ა. ულანოვი. მოსკოველები შეჯიბრების პირველ დღეს III ადგილზე იყვნენ, მაგრამ გამოცდილ ფიგურისტებთან „ჭიდილს" ვერ გაუძლეს და მონაპოვარი დათმეს. თუმცა V ადგილიც უდავო მიღწევაა ამ ტემპერამენტიანი, მაღალტექნიკური წყვილისა, რომელსაც ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს.

აი, წყვილთა სრიალში პირველი ექვსეულის ტექნიკური შედეგები:

1. ბელოუსოვა — პროტოპოპოვი — 321 ქულა (ადგილების ჯამი — 9);

2. მოსკვინა — მიშინი — 300,4 (30);

3. შტაინერი — ვალტერი — 301,6 (28);

4. გლოკსჰუბერი — დანე — 297,7 (36,5);

5. როდნინა — ულანოვი — 298,5 (37,5);

6. ჰაუსი — ჰეფნერი — 294,6 (50).

მოგვყავს ფიგურისტ ვაჟთა ექვსეულის ტექნიკური შედეგები სავალდებულო პროგრამის შემდეგ:

1. დანცერი (ავსტრია) — 1175,72 ქულა (ადგილების ჯამი — 10);

2. შვარცი (ავსტრია) — 1167,6 (17);

3. პერა (საფრანგეთი) — 1136,0 (31);

4. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია) — 1134,1 (32);

5. ჩეტვერუხინი (სსრ კავშირი) — 1078,3 (53);

6. კრიკი (გფრ) — 1056,5 (60).

სავალდებულო პროგრამაში „ურთიერთობა გაარკვიეს" მოცეკვავეებმაც, რომელთა უძლიერესი ექვსეული ასე გამოიყურება:

1. ტაულერი — ფორდი (ინგლისი) — 198,3 ქულა (ადგილების ჯამი — 9);

2. სადიკი — კენონი (ინგლისი) — 192,3 (18);

3. სობრიჯი — ლეინი (ინგლისი) — 187,7 (27,5);

4. გრიშკოვა — რიჟკინი (სსრ კავშირი) — 183,9 (35,5);

5. პახომოვა — გორშკოვი (სსრ კავშირი) — 177,8 (46);

6. ანჟელიკა და ერიხ ბიუკები (გფრ) — 172,5 (59,5).

ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი.

ე. დანცერი.

დ ა ნ ც ე რ ი დ ა ნ ც ე რ ი ა!

ვესტეროსი, 26 იანვარი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, 24 წლის ე. დანცერმა მეოთხედ მოიხვეჭა ევროპის უძლიერესი ფიგურისტის სახელი (სხვათა შორის, ოქროს პირველი მედალი მან 1965 წელს მოიპოვა მოსკოვში). როგორც წინა ტურნირებში, დანცერმა კვლავ მოუგო დუელი თანამემამულე ვ. შვარცს, რომელსაც შარშან შემოდგომით 20 წელი შეუსრულდა. შვეციის ამ ქალაქში დანცერის გამარჯვება უალტერნატივო დამაჯერებელი გახლდათ. მისი რთული ხტომები საოცრად ზუსტი და ეფექტური იყო. „ქერა პრინცი" კი (ასე უწოდებენ შვარცს მეგობრები) ამჯერად როგორღაც მოდუნებული ჩანდა...

საინტერესო ორთაბრძოლა გაჩაღდა პ. პერასა და 17 წლის ო. ნეპელას შორის. მსაჯებმა ტექნიკური და ელეგანტური ნეპელა ამჯობინეს. ჭაბუკი თანამემამულის მაგალითმა აღაფრთოვანა გამოცდილი მ. ფილციც — უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორმა შეძლო სავალდებულო პროგრამის შემდეგ X ადგილიდან მეშვიდეზე გადანაცვლება.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ს. ჩეტვერუხინმა ისევე, როგორც ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში, ახლაც V ადგილი დაიკავა.

წლევანდელი უნივერსიადის ჩემპიონი ვ. კურენბინი სავალდებულო პროგრამის შემდეგ VIII ადგილიდან მეათეზე გადავიდა, ხოლო რსფსრ-ს ჩემპიონმა ს. ვოლკოვმა XII ადგილი დაიკავა.

აი, პირველი ექვსეულის საბოლოო შედეგები:

1. დანცერი — 2224,2 (ადგილების ჯამი — 9);

2. შვარცი — 2197,6 (18);

3. ნეპელა — 2154,1 (29);

4. პერა — 2129,0 (35);

5. ჩეტვერუხინი — 2067,3 (51);

6. კრიკი — 2031,5 (67).



უსიტყვოდ.

(ჟურნალი „სპორტოვეცი", პოლონეთი).

საქვეყნო უნივერსიადა

გზად — „ოქრო"...

ინსბრუკი, 26 იანვარი. სსრ კავშირის ჰოკეისტებმა დამაჯერებლად, ანგარიშით 6:1 დაამარცხეს სტუდენტთა ტურნირის მეორე ლიდერი — ჩეხოსლოვაკიის გუნდი და განაგრძობენ თეთრი უნივერსიადის ოქროს მედლებისთვის ბრძოლას. თუმცა წინ კიდევ ერთი ტურია, რომელშიც ჩვენებს კანადელებთან შეხვედრა უწევთ, გამარჯვებულის საკითხი საბჭოთა ჰოკეისტების სასარგებლოდ გადაწყვეტილია.

მათმა მომავალმა მეტოქეებმა — კანადელებმა ფრედ (3:3) ითამაშეს შვედებთან.

დღეს დილით უნივერსიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა მერვე „ოქრო" მოიპოვეს. მოთხილამურეებმა — კიროველმა ც. პლატუნოვმა, ი. ჩარკოვსკიმ (მოსკოვის ოლქი), ლენინგრადელმა ა. ზახაროვმა და პერმელმა ა. სილაევმა მოიგეს ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე. სილაევმა ეტაპზე შესანიშნავი დრო აჩვენა — 45:59,4. პერმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი სილაევი 20 წლისაა. ჭაბუკი იქვე ფინიშზე ჩვენმა ტურისტებმა ხელში აიტაცეს და ამ ცოცხალი ტრამპლინიდან ჰაერში აფრინდა ოქროს მედლის ბედნიერი მფლობელი.

სამი საუკეთესო გუნდის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — 3:12.30,2; იაპონია — 3:13.21,5, ფინეთი — 3:13.36,3.

გუშინ საღამოს უნივერსიადაზე ოქროს პირველი მედალი მოიპოვა ამერიკის გუნდმა. თეთრ ოლიმპიადაზე მიმავალმა კეტი ნაგელმა აქ გზად გიგანტური სლალომი მოიგო.

დამაჯერებელი გამარჯვება — 6:1

სპორტული საათი!

◆ **ბრემენი, 26 იანვარი.** აქ გრძელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. კარგად ითამაშეს ვ. კოროტკოვმა და ვიაჩ. ეგოროვმა. ამ წყვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა ბელგიის საუკეთესო დუეტს — ჰომბერგენსა და დროსარს — 6:3, 3:6. 6:3. კოროტკოვთან შერეულ წყვილში გ. ბაქშეევამ დიდი ბრიტანეთის მეათე ჩოგანთან ფ. მაკ-ლენანთან ამასწინანდელი წაგებისთვის აიღო რევანში. ინგლისელი ქალი კლიფტონთან ერთად დამარცხდა — 6:3, 2:6, 2:6.

◆ **ბანგკოკი, 26 იანვარი.** იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრების კვალდაკვალ ოლიმპიური ტურნირის 16 ფინალისტის რიგებში ჩადგა ტაილანდის გუნდიც, რომელმაც II აზიურ ზონაში დაამარცხა ინდონეზიისა (2:0) და ერაყის (1:0) სპორტსმენები. გაგახსენებთ, რომ ეს უფლება თავიდანვე მოიხვეჭეს უნგრეთის (როგორც იაპონიის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულმა) და მექსიკის (როგორც მომავალი ტურნირის ორგანიზატორმა) ნაკრებმა გუნდებმა.

◆ *ნიუ-იორკი, 26 იანვარი. დახურული შენობებისთვის ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა მილროუზის ტრადიციულ თამაშებში ამერიკელმა ბ. სიგრენმა: „მედისონ სკვერ გარდენში" მან ჭოკით 529 სმ სიმაღლე გადალახა, რაც 3 სანტიმეტრით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას. სიმაღლეზე ხტომაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ჯ. თომასმა 208 სმ აიღო.*

◆ **სენ-ჟერვე,** 26 იანვარი. **საფრანგეთის ამ პატარა ალპურ ქალაქში თეთრი ოლიმპიადის წინ გამართულმა ბოლო დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ დედამიწის უველა გამოჩენილ სამთომოთხილამურე ქალს მოუყარა თავი. პროგრამის პირველ სახეობაში — სლალომში ბადალი არ ჰყავდა შვეიცარიელ ფერნანდა ბოშატეის, რომელმაც ერთხელ კიდევ გაახსენა ყველას, რომ შვეიცარიის ნაკრები თეთრი ოლიმპიადის მასპინძლებს სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს. მსოფლიო ჩემპიონი მარიელ გოიჩელი (საფრანგეთი) მხოლოდ IV ადგილზე ალმოჩნდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გეგმა და მისი ხორცშესხმა

ბიდეთ ერთი ბანალური შეკითხვა:

— კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე რომელი გუნდები მოგწონთ ყველაზე მეტად?

დაუსვით იგი რომელსაც გნებავთ სპეციალისტს, მწვრთნელს, მსაჯს... შესაძლოა ყველასგან ერთნაირი პასუხი არ მიიღოთ, მაგრამ დასახელებულთა შორის უეჭველად იქნება ლიტვის უძლიერესი კლუბი — „ჟალგირისი". ნუ იფიქრებთ, თითქოს საქმე კაუნასელთა მიმართ სპეციალისტების პირად სიმპათიას ეხებოდეს. მიზეზი გაცილებით უფრო ღრმაა და იგი ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: თამაშის ხერხით, კალათბურთის ცოდნითა და ტაქტიკით „ჟალგირისი" ბევრ სხვა გუნდზე მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ასეთია იგი მაშინ, როცა ჩემპიონატს ლიდერობს და ასეთად რჩება მაშინაც კი, როცა... მარცხს მარცხზე განიცდის.

რა დაემართა „ჟალგირისს" ბოლო მატჩებში, მართლაც გაუგებარია. შემთხვევით შეიძლება წააგო ერთი მატჩი, ორი, ვთქვათ, სამიც. მაგრამ ზედიზედ 6 ქულის დაკარგვა უდავოდ სიმპტომატური ფაქტია. დასკვნაც თავისთავად გამოდის: გუნდი ვერც ფიზიკურად, ვერც მორალურად ვერ მოემზადა დიდი, მომქანცველი ტურნირისთვის.

დღევანდელ ერთპიროვნულ ლიდერს — კიევის ასკ-ს 16 თამაშიდან დაკარგული აქვს 4 ქულა (ოთხივე თბილისში). ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ლიტველებიც, რომლებმაც კიევში 4 ძვირფასი ქულა დაკარგეს და ლიდერებიდან აუტსაიდერებში გადაინაცვლეს.

თბილისის დინამოელები სულ მალე დაამთავრებენ ერთთვიან ტურნეს და შინ დაბრუნდებიან. ჯერჯერობით ისინი გეგმას არ „ღალატობენ" — აქვთ 50-პროცენტიანი მოსწრება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გეგმის დარღვევა გუნდს სულ ცოტა ორჯერ მაინც შეეძლო: ლენინგრადის „სპარტაკთან" და რიგის ვეფ-თან პირველ მატჩებში დინამოელებს არ ეყოთ თითო ქულა. აი, რა მოხდა რიგაში: თავდაპირველად შეხვედრის ბედი თითქოს ეჭვს არ იწვევდა — ვეფ-ი საგრძნობლად დაწინაურდა — 16:5. როგორც ჩანს, თბილისელები შეცდნენ, როცა მთელი ყურადღება მეტოქის ლიდერის — ოზერსის ნეიტრალიზებაზე გადაიტანეს და უყურადღებოდ დატოვეს მისი დანარჩენი პარტნიორები.

ტაიმი თბილისელებმა წააგეს ანგარიშით 33:47. ცუდად ჰქონდათ მათ საქმე მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრეც — 58:70. დარჩენილ დროში კი ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა. ამის მიზეზი გახლდათ პრესინგი, რომელსაც თბილისელებმა მიმართეს. ვეფ-ი ამას არ მოელოდა. თბილისელთა თავგანწირულმა იერიშებმა საბოლოოდ ანგარიშში სხვაობა 1 ქულამდე დაიყვანა. მაგრამ მასპინძლებმა, როგორც იქნა, მაინც გაიმარჯვეს, ვინაიდან „პატარა" მეიენიეკსმა წარმატებით ჩააბარა ნერვების გამოცდა (გადამწყვეტი 2 საჯარიმო სროლის უშეცდომო რეალიზაცია!).

ლატვიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა „დინამოს" თამაშს, „რომელმაც ბოლო 5 წუთში შეუძლებელი შეძლო. ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა დინამოელთა ტრიომ: ლეჟავამ (23 ქულა), ალთაბაევმა (16) და ხხიერელმა (16)."

მეორე დღეს უკვე ცხადი იყო, რომ თბილისელები აღარ დაუშვებდნენ შეცდომას და მეტოქეს ასე იოლად დაწინაურების საშუალებას არ მისცემდნენ. მათ უნაკლოდ განახორციელეს ჩანაფიქრი, მაგრამ შეხვედრის მიწურულში ოდნავ მოადუნეს ყურადღება, რამაც დამატებითი 5 წუთი გამოიწვია. რევანში მიღწეულ იქნა დამატებით დროში და მასში ყველაზე დიდი წვლილი ალთაბაევმა შეიტანა — 22 ქულა.

ნ. ბუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	16	12	4	1126—1072	12
„დინამო" (თბილისი)	16	11	5	1164—1073	11
„სტროიტელი" (კიევი)	16	11	5	1064—1021	11
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	16	10	6	1147—1100	10
ვეფ (რიგა)	20	10	10	1466—1433	10
ცსკა	14	9	5	898—846	9
„კალევი" (ტარტუ)	15	8	7	986—972	8
„ჟალგირისი" (კაუნასი)	16	8	8	1145—1106	8
ასკ (რიგა)	16	6	10	1141—1165	6
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	12	5	7	763—773	5
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	14	2	12	1022—1162	2
„ბურევესტნიკი" (ბაქო)	15	1	14	1020—1219	1

მოგვყავს ბოლო 3 დღის შეხვედრათა შედეგები:

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 88:74.

„კალევი" (ტარტუ) — „ბურევესტნიკი" (ბაქო) 93:71.

„სტროიტელი" (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 73:58.

ფართო გზა — სიახლეს!

ალბათ თვითონაც არ ახსოვს ალექსანდრე ბიჭინაშვილს რამდენი კილომეტრი გაუცურავს თბილისის „დინამოს" აუზში. საშუალო სკოლაში ბრასით ცურვა უყვარდა და მალე 11 თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. სტარტზე მდგომს ბევრჯერ შეუნიშნავს უმწეობა მესტარტისა, რომელსაც პისტოლეტი გაფუჭებია, ან ვაზნები გამოლევია უდროოდ და ტურნირიც რამდენიმე წუთით შეფერხებულა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრემ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა მექანიზაციის ფაკულტეტზე, თან კ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ტექნიკოსად. თავისუფალ დროს ყველაზე მეტად მოცურავეთა და მძლეოსანთა ტურნირებზე სიარული უყვარდა. ისევ ბევრჯერ გახდა მესტარტის გასაჭირის მოწმე.

... მექანიზაციის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, ალექსანდრემ ინსტიტუტშივე დაიწყო მუშაობა ჯერ ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად. ახალგაზრდა სპეციალისტი მუდამ ახლის ძიებაში იყო. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტმა ჯერ ვენახის რიგთაშორისების ავტომატური მოწყობილობით დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის საკონტროლო ხელსაწყო შექმნა (რამაც საერთო აღიარება ჰპოვა), შემდეგ ვენახის ავტომატური რიგთაშორის გამომბარველი მანქანა, რომელიც სპეციალისტებს პერსპექტიულ გამოგონებად მიაჩნიათ.

ალექსანდრეს არც სასტარტო-სასიგნალო პისტოლეტი დავიწყებია. განიზრახა თავად შეექმნა მისი ახალი ნიმუში, გარეგნული ფორმითაც განსხვავებული ცეცხლმსროლელი იარაღისგან და შეძლებისდაგვარად სრულეყო კიდეც. ნახაზი ნახაზს ცვლიდა და ახალგაზრდა გამომგონებელმა კარგა ხნის შრომისა და ფიქრის შემდეგ მარშან მიზანს მიაღწია.

ბიჭინაშვილმა პირველად საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ე. გოკიელს მიაკითხა. მწვრთნელმა გულდასმით მოუსმინა გამომგონებელს, მოუწონა ნამუშევარი. პისტოლეტის პრაქტიკული გამოცდა ჩვენი ნაკრების სპარტაკიადისთვის მზადების დღეებში მოხდა. „სპორტის დედოფლის" სხვა სპეციალისტებიც კმაყოფილი დარჩნენ და საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმიც.

... საბოლოო ინსტანცია: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგამომგონებლო კომიტეტი. დიდხანს ათვალიერეს პისტოლეტის ნიმუში, დიდხანს ჩაჰკირკიტებდნენ ნახაზებს, ინვენტარის აღწერილობას, მაგრამ გამოგონებას წუნი ვერავინ დასდო და ა. ბიჭინაშვილს საავტორო მოწმობა მისცეს. ახალ სასტარტო-სასიგნალო პისტოლეტს „საიუბილეო" დაერქვა.

ბიჭინაშვილის პისტოლეტი ფორმით მართლაც ძირფესვიანად განსხვავდება ყველა მისი წინამორბედისგან: საგრძნობლად შემცირებულია წონა და ზომები, ხუთჯერაა გაზრდილი სავაზნის ტევადობა. ახალი ნიმუში სრულიად არ ჰგავს ცეცხლმსროლელ იარაღს და მას არადანიშნულებისამებრ ვერავინ გამოიყენებს.

გამოგონება ფართო გზაზე უნდა გავიდეს. როგორც ბიჭინაშვილმა გვითხრა, განზრახულია დამზადდეს ახალი პისტოლეტების საცდელი პარტია და მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში გამოსაცდელად გაიგზავნოს. ვიმედოვნებთ, რომ ის ორგანიზაციები, რომლებსაც ამ საქმის მოგვარება ევალებათ, მონდომებას არ დაიშურებენ, რათა „საიუბილეომ" მსოფლიო სარბიელზე ჰპოვოს აღიარება.

ო. ივლოშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — პისტოლეტის ავტორი ა. ბიჭინაშვილი; ქვევით — ახალი სასტარტო-სასიგნალო პისტოლეტი.

ფოტო გ. გოგოლიშვილისა.



რვა ფინალისტი

მოსკოვი (ჩვენი კორ.). როგორც ცნობილია, თბილისელმა მოსწავლე ჩოგბურთელებმა იანვრის არდადეგების დღეებში თავის ზონაში პირველობა მოიპოვეს და საკავშირო გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ეს შეჯიბრება მარტის არდადეგების დღეებში გაიმართება მოსკოვს. სხვა ზონებში გამოვლინდა 7 ფინალისტი. ისინი თბილისელებთან ერთად იბრძოლებენ I ადგილისთვის.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა შეჯიბრება ლენინგრადის ზონაში. მასპინძლები გადამწყვეტ მატჩში მინსკელებს შეხვდნენ. ლენინგრადელებმა, რომლებიც 14 წლის მანძილზე მუდამ I ადგილზე იყვნენ თავიანთ ზონაში, შეჯიბრება ამჯერადაც კარგად დაიწყეს — 5:1. საკმარისი იყო ერთი შეხვედრის მოგებაც და მათ ფინალის საგზური განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ 16 წლის მინსკელებმა — ლ. ხოვანსკაიამ და ე. კაზაკევიჩმა გამარჯვების ბედი სხვაგვარად გადაწყვიტეს. მინსკის გუნდის წარმომადგენლებმა თავდაპირველად ერთეულთა შეხვედრები მოიგეს, შემდეგ კი მათ თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და გოგონათა, ჭაბუკთა და შერეულ წყვილთა პაექრობაშიც იმარჯვეს. ასე რომ, მინსკელებმა საბოლოო გამარჯვებაც მოიპოვეს — 6:5.

სტუმრების წარმატებით დამთავრდა ზონალური შეჯიბრებები დნეპროძერჟინსკსა და კალინინგრადშიც. იქ ყველას აჯობეს კიევისა და ტალინის გუნდებმა. დანარჩენ ზონებში გამარჯვება მასპინძლებს — მოსკოვის, სოჭის, ალმა-ათისა და რიგის გუნდებს ხვდათ.

ამგვარად, მარტის არდადეგების დღეებში პირველობისთვის იბრძოლებენ თბილისის, მოსკოვის, ტალინის, რიგის, კიევის, მინსკის, ალმა-ათისა და სოჭის მოზარდი ჩოგბურთელები.

საწვრთნელი მატჩი

სოჭი, 26 იანვარი. აქ დაიწყო „ა" კლასის 1 ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საწვრთნელი მატჩები. გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო" და „ლოკომოტივი".

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს რკინიგზელებმა.

პირველობა... ქიმიის კაბინეტში

წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტში ამას წინათ ქალაქის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის 1-ლი, მე-2 და სოფელ ქვედო მაზანდრის საშუალო სკოლების გუნდებმა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს მასპინძლებმა.

პირველობამ ცხადყო, რომ წალენჯიხაში ბევრია ნიჭიერი მოჭადრაკე, მაგრამ მათი დაოსტატებისთვის სათანადო პირობები არ არის. მას შემდეგ, რაც ქალაქის საჭადრაკო კლუბი დაიხურა, მოჭადრაკეთა ტურნირების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. სწორედ ამიტომ ჩატარდა ზემოხსენებული პირველობა ქიმიის კაბინეტში.

ეს მდგომარეობა დროულად უნდა გამოსწორდეს.

ო. ხალია.

წალენჯიხა.

„კოლმეურნის" ჩემპიონები

დაბა ოჯონიკიძეში თითქმის ორ კვირას გასტანა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობამ ჭადრაკში.

ქალებში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ზუგდიდელმა ა. ბაძაღუამ. II ადგილზე გავიდა ი. გვილესიანი (მახარაძე), III — 14 წლის ა. თავბერიძე (ჩოხატაური).

ვაჟებში პირველი იყო ო. სიხარულიძე (ჩოხატაური), II-III ადგილები გაიყვეს „კოლმეურნის" მრავალგზის ჩემპიონმა რ. ჭყონიამ (მახარაძე) და ა. გვენცაძემ (ამბროლაური).

პ. შარიქაძე.

გიწვევთ ყველას!

კასპის სკოლა-ინტერნატის მერვეკლასელმა მოჭადრაკეებმა ამას წინათ მოვაწყვეთ შეჯიბრება დევიზით: „ჩვენთან ყველა თამაშობს ჭადრაკს".

პაექრობაში მასწავლებელი მ. ბოჭორიძეც ჩაება. ბრძოლა დაძაბული იყო. გაიმარჯვა ი. გორგაძემ. II ადგილზე გავიდა პ. მარქარაშვილი, III — ნ. პაპინაშვილი.

ახლა ჩვენი სურვილია, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ვაზიაროთ ჭადრაკს და უფრო დიდი საჭადრაკო შეჯიბრება მოვაწყოთ. ტურნირს ქალთა საერთაშორისო დღეს მივუძღვნით.

კასპის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები რესპუბლიკის სხვა სკოლებს ვიწვევთ შეჯიბრებაში დევიზით: „ჩვენთან ყველა თამაშობს ჭადრაკს".

შ. ილურიძე,
პ. მარქარაშვილი,
ი. გორგაძე,
ნ. პაპინაშვილი,
კასპის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლეები.

◆ ლანჩხუთი

რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო გუნდურ პირველობაში გოგონებში ყველას აჯობა მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა, ჭაბუკებში გაიმარჯვეს აცანელებმა.

ი. ეგრალიძე.

ტრადიციული მეგობრობა

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ზესტაფონის ბავშვთა სპორტსკოლის აღზრდილებს სამტრედიელ და ჭიათურელ თანატოლებთან. ამას წინათ ზესტაფონელები სამტრედიელებს ეწვივნენ და ამხანაგური შეჯიბრებები გამართეს ფრენბურთსა და კალათბურთში. სტუმრების ჭაბუკთა გუნდებმა ფრენბურთშიც იმარჯვეს და კალათბურთშიც, გოგონებმა კი ფრენბურთი მოიგეს.

კალათბურთელ ჭაბუკთა საპასუხო შეხვედრა ზესტაფონში გაიმართა.

ზესტაფონში სტუმრობდნენ ჭიათურელი კალათბურთელებიც. გოგონათა გუნდების შეხვედრა ფრედ (29:29) დამთავრდა, ჭაბუკებში კი მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 31:22.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

[illegible]

ვასილი აქსიონოვი

თორმეტი წლიდან ძალიან სწრაფად განვვითარდი ფიზიკურად. ჩემმა ფიზიკურმა განვითარებამ მშობლები საგონებელში ჩააგდო. მათ ექიმთან წამიყვანეს და ექიმი, ცისფერთვალა დეიდა, კინაღამ შეხტა, თავს ზემოდან სვიტერი რომ გადავიძვრე.

— ფენომენალური ბიჭია, — თქვა მან ძალიან ლამაზი ხმით.

მე რატომღაც ექიმის კაბინეტიდან გამოსვლა აღარ მინდოდა, მაგრამ მამამ ხელი ჩამკიდა და წამიყვანა.

მამა უკვე ნახევარი თავით ჩემზე დაბალი იყო. იგი ყოველ წელიწადს პატარავდებოდა და პატარავდებოდა, მაგრამ მე მაინც მიყვარდა და პატივს ვცემდი, თითიც არასოდეს დამიწყია, თუმცა ძალიან გავუსწარი ჩემი ფიზიკური განვითარებით. სხვათა შორის, მშობლებისადმი სწორედ ასეთ დამოკიდებულებას ვურჩევ მე ყველა ახალგაზრდა სპორტსმენს.

ჩემი გონებრივი განვითარება ფიზიკურს ბევრად ჩამორჩებოდა. ისე კი, აბსოლუტურად თანაკლასელთა დონეზე ვიდექი, ფრიადოსნობისთვის, რა თქმა უნდა, თავი არ მომიკლავს, — რაში მჭირდებოდა? რაც შეეხება პითაგორის თეორემას, ნიუტონის ბინომსა და ის რომ არის — „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად", ყველა ეს სიბრძნე ჩემთვის ჩინური გახლდათ. დიახ, ჩემი ფიზიკური განვითარება ძალიან წინ წავიდა გონებრივთან შედარებით. ტოლების დანახვაზე ხანდახან სიცილი წამსკდებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ვიკავებდი სიცილს. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი არ გამოვრჩეულიყავ. სისულელეა ფიზიკური განვითარებით ყოყოჩობა. არ ვურჩევ ამას ახალგაზრდა სპორტსმენებს.

თოთხმეტი წელი რომ შემისრულდა, რაღაც ცელქობის გუნებაზე დავდექი. ხელ დავლეწე, რაც ფიზიკური აღზრდის კაბინეტში დინამომეტრები იყო. სპირომეტრს ერთი ჩავბერე და იგი დაიშალა, კულტურის პარკის ატრაქციონებზე ხომ აღარას ვამბობ. ერთ მშვენიერ დღეს სკოლის დერეფანში სასწავლო ნაწილის გამგე ვალერიან სერგეევიჩს დავტაცე ხელი, მხარზე შევისვი და ასე, სასწავლო ნაწილით მხარდამშვენებული გამოვცხადდი კლასში. შედეგი: ათი დღით გამრიცხეს სკოლიდან.

მაგრამ კლასს, რა თქმა უნდა, არ ჩამოვრჩენივარ. ყოველდღიურად ხუთ-ხუთ საათს ვმეცადინეობდი პროგრამის მიხედვით. გაუგებარ საკითხებს ტელეფონით ვეკითხებოდი მიშა გურფინკელს. სწავლაზე ხელის მიშვება არ შეიძლება. ისე გამოვა, რომ შენ ერთ ადგილს ტკეპნი, სხვები კი უკვე წინ წავიდნენ.

ამ უცნაურმა ინციდენტმა ბევრი რამ მასწავლა. და მე ჩემს მომავალ ცხოვრებას ჩავუფიქრდი. საფიქრალი, იცოცხლე, მქონდა: მუსკულატურისა და შინაგანი ორგანოების უჩვეულო განვითარებამ სულ სხვა ადამიანად მაქცია. თავად განსაჯეთ: რამდენ ბიჭს უნდა სასწავლო ნაწილი შეისვას მხარზე, მაგრამ ყველას შეუძლია ეს? აი, მე კი მოვინდომე და გავაკეთე. ასეთი ფიზიკური განვითარების წყალობით ბევრ და იქნებ ყველა ბიჭისთვის ჩვეულებრივ აზრებს შეიძლება ცუდ შედეგამდე მივეყვანეთ მეცა და ყველა ჩემს ირგვლივ მყოფიც. ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, გადავწყვიტე სპორტისთვის მიმემართა. ჩემი გეგმები მშობლებს გავუზიარე.

— სწორი გადაწყვეტილებაა, — მითხრა მამამ. — თუ ჭარბ ენერგიას სპორტს მოახმარ, ამით შენ, გენადი, საზოგადოებასთან კონფლიქტს აიცილებ თავიდან.

ამგვარად, გადაწყვეტილება მიღებული იყო. ისღა დამრჩენოდა, სპორტის სახეობა ამერჩია. მძლეოსნობაში რომ დამეწყო ვარჯიში, რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა, — უკვე მეშვიდე კლასში ფიზკულტურის გაკვეთილებზე ას მეტრს 10,3 წამში გავრბოდი, 216 სანტიმეტრზე ვხტებოდი, ბირთვს 19 მეტრზე ვკრავდი და ყველაფერ ამას ყოველგვარი ძალდატანების, თუ სიმართლე გნებავთ, სიამოვნების გარეშეც ვაკეთებდი. ცურვა? ცურვა არ ვიცოდი და არც სწავლას ვაპირებდი. რაში მჭირდებოდა?

ცხოვრების გზის არჩევანზე ფიქრს მიცემული დავდიოდი ქუჩებში, ვაკვირდებოდი გამვლელ-გამომვლელს, ამოვარჩევდი რომელიმე მოსულ მამაკაცს, გავეცნობოდი, ხელს ვუჭერდი, ჩავცქეროდი ტკივილისგან ცრემლმომდგარ თვალებში, მხარს გავკრავდი და მერე შერცხვენილი გავრბოდი. ერთ მშვენიერ დღეს თავი რომ კრივის სექციაში არ ამომეყო, აღარ ვიცი, ეს ყველაფერი რანაირად დამთავრდებოდა.

მახსოვს ჩემი პირველი სპარინგ-პარტნიორი, მაიური, ორმოციოდე წლის სპორტის ოსტატი.

— ნუ გეშინია, შვილო. არ გატკენ, — ჩამჩურჩულა მან შეხვედრის დაწყებამდე. დაახლოებით ერთი წუთის მანძილზე როგორც სურდა, მიბრაგუნებდა, მაგრამ ჩემთვის მისი ჰუკი და აპერკოტი იგივე იყო, სპილოს საფანტი რომ დაუშინო. მეორე წუთზე სპორტის ამ სახეობის ყველა სიბრძნე ვიცოდი უკვე. ფინტი გავაკეთე და რომ დავცხე ერთი პირდაპირ — ბიძა მაშინვე ჩაიკეცა. ასე მივიღე ცხოვრების საგზური.

მე ძალიან მომწონდა კრივი. ძალიან მომწონდა გონგამდე ჩემს კუთხეში დგომა. გრძელ, ხშირ წამწამებს მორცხვად დავხრიდი, ნაზ ლოყებზე ვარდისფერი დამთამაშებდა, გონგზე გრძელ, ხშირ წამწამებს ავზიდავდი, დიდ ცისფერ თვალებს გავახელდი, თვალის მომჭრელი ღიმილით გავიღიმებდი, პარტნიორს შიშისგან დავიწროებულ თვალებში ჩავხედავდი და დავუშენდი. ჩვეულებრივ საქმე მეორე რაუნდამდე არ მიდიოდა.

დიდება მოვიდა. ყოველდღე ჩვენი ახალგაზრდობის ორმოცდაათიდან სამოცამდე წერილი მომდის. ყველა წერილზე გულმოდგინედ ვიძლევი პასუხს. კითხვა: „როგორ გავხდე თქვენსავით ღონიერი?" პასუხი: „მხოლოდ შეუპოვარი შრომით". კითხვა: „როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებას სპორტში"? პასუხი: „მხოლოდ შეუპოვარი შრომით". ქალიშვილის კითხვა: „რატომა ხართ ასე ლამაზი?" პასუხი ქალიშვილისადმი: „მხოლოდ შეუპოვარი შრომით".

უნდა ითქვას, რომ მე წარმატებით ვუთავსებდი ერთიმეორეს სწავლასა და სპორტს. კლასს არ ვრჩებოდი. ყოველ თავისუფალ წუთს პროგრამის მიხედვით მეცადინეობისთვის ვიყენებდი.

ერთ დღეს, ბრძოლის წინ ტრუსებსა და ხელთათმანებში გამოწყობილი გასახდელში ვზივარ და ვზუთხავ — „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში"... შემოდის ჟურნალისტი ილია სლონოვი. უკან ფოტორეპორტიორი მოჰყვება. ფოტოგრაფმა ერთ ხანს მიტრიალა, აწკაპუნა.

— აორთქლდი, ედიულია, — უთხრა მას სლონოვმა, მერე ჩამომიჯდა და მეუბნება: — მომწონს თქვენი კრივი, მაბუკინ!

გავწითლდი კიდეც. მე მუდამ მორცხვი ვიყავი და ახლაც მორცხვი გახლავართ. და ამ თვალსაზრისითაც მაგალითს წარმოვადგენ ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის.

— მომწონს, მაგრამ ბოლომდე არა, — ამბობს სლონოვი.

აი, ახლა კი ავღელდი.

— ყველაფერი გაქვთ, — განაგრძობს სლონოვი, — ძალა, რეაქცია, ტექნიკაც სათანადო სიმაღლეზე დგას. არა გაქვთ მხოლოდ შემოქმედებითი სული.

— როგორ თუ არა მაქვს? — ვეკითხები.

— აიღეთ, მაგალითად, კასიუს კლეი... — ამბობს ილია სლონოვი.

კასიუს კლეის ხსენებაზე ელენთაც კი ამიცახცახდა. ოჰ, როგორ მინდა ამ ამხანაგის გაცნობა, ერთი გულიანად წამუშავება მასთან.

— ... მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია და უფაქიზესი ლირიკული პოეტიც არის, — განაგრძობს სლონოვი. — გარწმუნებთ, მან უპირველეს ყოვლისა ინტელექტით დაჯაბნა სონი ლისტონი.

— თანამედროვე მოკრივე პირველ ყოვლისა შემოქმედებითი პიროვნებაა,— განაგრძობს სლონოვი. — კრივი — ეს პოემაა, ექსტაზის პოემა. კრივი — ეს სიმფონიაა ან, თუ გნებავთ, სიმფოჯაზი. კრივი ეს სიურეალისტის ტილოა. კრივი — ეს შთაგონებაა, ალმაფრენა, პლასტიკური ფუგა, ასონანსია თუ დისონანსი.

ეს რომ თქვა, სლონოვი ჭერს შეაჩერდა და მის მუქ ხავერდოვან თვალებში მაწანწალა ნაპერწკლები აკიაფდნენ.

— თქვენ საერთოდ წიგნებს კითხულობთ, მაბუკინ? — მკითხა მან.

— კი, საერთოდ ვკითხულობ. აი, ... „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში", — ვაჩვენე მე.

— მაგრამ, გარდა ქრესტომათიისა? კაფკას „პროცესი" წაგიკითხავთ? ველიმირ ხლებნიკოვის პოეზიას იცნობთ?

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც დღესაც გრძელდება.

მალე ჟურნალ „ოგონიოკის" ყდაზე გაჩნდა ჩემი სურათი ხელთათმანებითა და ქრესტომათიით. „სპორტის ოსტატი გენადი მაბუკინი — წიგნების ტრფიალი".

ჩვენი გუნდი სირაკუზერსის თასზე შეჯიბრებისთვის ემზადებოდა. სლონოვი ყოველდღე ჩამოდიოდა ქალაქგარე ბაზაზე. ჩამოჰქონდა წიგნები, ფირფიტები, რეპროდუქციების ალბომები. სულ მოკლე ხანში მისი ხელმძღვანელობით დავძლიე კაფკას „პროცესი", ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა", კატაევის „დავიწყების ბალახები", წავიკითხე „კენტავრი", „კაპიტან გრანტის შვილები" (აი, მესმის წიგნი!), გავერკვიე ფრანგულ ანტირომანში, სარტრი, რა თქმა უნდა, დავიზუთხე (სხვანაირად ახლა არ შეიძლებოდა), ზეპირად ვისწავლე აპოლინერის რამდენიმე ლექსი, ველიმირ ხლებნიკოვის სტრიქონები, უდიდესი სიამოვნებით მოვისმინე ბახი, მალერი, პროკოფიევი, „მოდერნ ჯაზ კვარტეტი", გავეცანი კანდინსკის, დალის, ჯაკომეტისა და სხვათა შემოქმედებას. განსაკუთრებით მორანდის ნატურმორტები მომეწონა. როგორც ერენბურგმა თქვა, „მიუხედავად მთელი ფილოსოფიური სიღრმისა, ... ისინი ემოციის სამყაროში გვიწვევენ". ჩემს წინაშე თანდათან გამოიკვეთა თანამედროვე კრივის ჭეშმარიტი სახე.

მოსკოვის ახლო-მახლო ტყეებში, ტალებში, ბილიკებზე, მთასა და ბარში სეირნობის დროს მე ლექსებს ვთხზავდი. მახსოვს ჩემი პირველი ლექსი:

მე სახე ჩემი
შემომცქერის ჭაობთა სიღრმით,
ქედმოუხრელი, მარტოსული,
განწამებული.
თვალები, შუბლი,
სიყვარულის ჩემის საყრდენი...
არ ვარ ნარცისი,
და ვარ მაინც შეუყვარებული.

ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა ერთ დღეს სლონოვს უთხრა:

— რას ჩასციებიხართ მაგ ბიჭს? მაგას იქნებ ფინალში ხორხე-ლუის ბარაკუდასთან შეხვდეს მუშაობა. იცი, იმას რა მარჯვენა აქვს?

სლონოვმა მყისვე შეუტია:

— როგორ არ გესმით? გენა პრაქტიკულად დაუმარცხებელია. სირაკუზერსის თასი, როგორც ყველა თასი მსოფლიოში, მას უკვე ჯიბეში უდევს, მაგრამ მე მინდა მისგან ახალი ტიპის მოკრივე გამოვძერწო, შემოქმედი, მხატვარი!

— შენ მოგზავნილი ხომ არა ხარ, სლონოვო? — შებღვირა მწვრთნელმა.

და აი, ჩვენ სამხრეთ ამერიკაში ჩავედით, ძალიან დიდ ქალაქში, არ ვიცი, ბუენოს-აირესში, არ ვიცი, რიო-დე-ჟანეიროში, ახლა უკვე აღარ მახსოვს. დაიწყო შეჯიბრება სირაკუზერსის თასისთვის. ჰო, ჰო, რა ამბავი იყო! ჩემს ვარჯიშს ორმოცდაათიდან სამოცამდე რეპორტიორი იღებდა, ტელევიზია დილიდან საღამომდე თორმეტივე არხით ჩემზე გადასცემდა. ყოველდღე ორმოცდაათი-სამოცი წერილი მომდიოდა სამხრეთამერიკელი ახალგაზრდობისგან. როგორ გავხდე თქვენსავით ღონიერი? მხოლოდ შეუპოვარი შრომით. როგორ გავხდე თქვენსავით ლამაზი? მხოლოდ შეუპოვარი შრომით. მართალია, რომ პოეტი ხართ? მართალია.

მეთექვსმეტედფინალში უნგრელს უნდა შევხვედროდი. მწვრთნელმა უნგრელი მოხსნა. „ეს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური იმედია, რისკის გაწევა არ ღირს", — განუცხადა მწვრთნელმა მასპინძლებს. მერვედფინალში ... „ხუთი შვილის მამა ვარ, თავი რატომ მოვაკვლევინო?" — განუცხადა მან გაზეთებს. მეოთხედფინალში იტალიელი არ გამოვიდა რინგზე: „სიცოცხლე უფრო ძვირად მიღირს". ნახევარფინალში იაპონელმა ილაჩრა: „ბრინჯაო მაქვს, და საკმარისია".

თავისუფალი დრო ბევრი მქონდა და მე და ილია დავდიოდით სამხატვრო გამოფენებზე, სიმფონიურ კონცერტებზე, ... ამგვარად, ჩვენ ვაგრძელებდით ჩემი, როგორც ახალი ტიპის მოკრივის პიროვნების ფორმირებას. ამასობაში ჩემი მთავარი მეტოქე ხორხე-ლუის ბარაკუდა სასტიკ ბრძოლებში იკაფავდა გზას ფინალისკენ.

და აი, ფინალი დადგა. ბრძოლის წინ ჩემთან შემოვიდა თავად ალოლფუს სელესტინა სირაკუზერსი, ჩასკვნილი ბიძა, მილიონერი საქონელმრეწველი, — ხარის კისერი, კოპებიან თავზე თახვურად შეჭრილი ჭაღარა თმა, ალისფერი ჟილეტი. თითზე — ბრილიანტი, ყურში — ბადახში. სიამოვნებით ამხედ-დამხედა და პრესის წარმომადგენლებს უთხრა:

— მეცნობა, მეცნობა ჩემი ახალგაზრდობა.

აი, მე რინგზე გამოვედი და პირველად დავინახე ბარაკუდა. ჩემს პირდაპირ იდგა ძალიან დიდი, ძალიან შავი, ძალიან ბებერი — ოცდაათი წლის კაცი. ძალიან ღელავდა. მგონი, მუხლებიც კი უკანკალებდა. მე კი მორცხვად ვიდექი ჩემს კუთხეში. გრძელი, ხშირი წამწამები დავხარე და გრძელი ხშირი წამწამებიდან ალერსიანი ღიმილით გავცქეროდი მას.

— გრძელი ხელები აქვს. ახლოს იბრძოლე. მარჯვენას უფრთხილდი, — ჩამჩურჩულა მწვრთნელმა.

უცნაური კაცია ჩემი მწვრთნელი. მან არც კი იცის, რომ მე ეს ბრძოლა ჩავიფიქრე, როგორც სიმფონიური პოემა, როგორც პლასტიკური ფუგა სიურეალისტური გასაღებით ასონანსებსა და დისონანსებზე. ახლოს ბრძოლა, შორს ბრძოლა — რა სისულელეა! კრივი — ეს ექსტაზის პოემაა!

ყველაფერი თითქოს ნოტებზე გავითამაშე. ბარაკუდას სასოწარკვეთილება და შეუპოვრობა საუცხოო იარაღი იყო ჩემს ხელში, სტრადივარიუსის ვიოლინო იყო. ამ ბრძოლამ პირველად მომანიჭა ჭეშმარიტად მაღალი ესთეტიკური ტკბობა, რადგან მე ახლა ახალი ტიპის მოკრივე ვიყავი, მოკრივე ინტელექტუალი.

მესამე რაუნდში ბარაკუდამ მოულოდნელი აპერკოტით ბაგირზე მისროლა. სიცარიელესა და მდუმარებაში აჟღერებულმა ღვთაებრივმა ტკივილმა გულში გამიარა. აღფრთოვანებისგან სუნთქვაშეკრული შევცქეროდი ბარაკუდას სახეს, რომელიც თანდათან მიახლოვდებოდა — მოცახცახე ნიკაპს და ალმასივით აელვარებულ თვალებს. ჭეშმარიტების მომენტი დგებოდა. ბოლო შტრიხი, ბოლო სადებავი, ბოლო მოცახცახე ნოტა. ბარაკუდას თავი კეგლის ბურთივით აკაკუნდა ფიცარნაგზე.

ორმოცდაათ-სამოც კითხვას რომ გავეცი პასუხი, ჟურნალისტებს ვთხოვე, მარტო დამტოვეთ-მეთქი. ჩემი მეგობარი ილიაც დავითხოვე. ყველა რომ წავიდა, ჩავრთე მაგნიტოფონი — რახმანინოვის კონცერტის ჩანაწერი, გადავშალე მორანდის ალბომი და ინოკენტი ანენსკის ლექსების ტომი.

გვიან ღამით, იდუმალება რომ გამეფდა, სპორტის სასახლიდან გამოვედი. კიბეზე ხორხე-ლუის ბარაკუდა იჯდა. იგი ტიროდა.

— რა გატირებთ ბარაკუდა? ნუთუ წაგება? — ვკითხე მე.

— აბა სხვა რა? — მიპასუხა მან.

— თქვენ საერთოდ წიგნებს კითხულობთ, ბარაკუდა?

— ჰო, ვკითხულობ, ვკითხულობ.

— ესე იგი, ცოტას კითხულობთ. მეტი უნდა იკითხოთ, მუსიკა მოისმინოთ, სურათები ნახოთ.

— ჰო, ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი თქვენზე. გმადლობთ, მაგრამ რა გამოვიდა?

— მორანდი მოგწონთ, ბარაკუდა?

— ჰო, მომწონს, მომწონს.

— „მოდერნ ჯაზ კვარტეტი"?

— უჰ!

— მაშ ჯერ მომავალი წინ გაქვთ, ბარაკუდა. ნუ ტირით. ნახვამდის.

— გაიარე, სანამ ლამაზი ხარ, — ჩაიბურდღუნა მან.

მე მასთან კამათი არ დამიწყია.

რა შემიძლია გითხრათ ჩემს კვებაზე: დილით ერთი ჭიქა წვენს ვსვამ და ორ კვერცხს ვჭამ. სადილი: ქაშაყის ნაჭერი, ნახევარი თეფში ბულიონი, ქათამი. სამხარი: ერთი ჭიქა რძე და ნამცხვარი. ვახშმად გულს ვიჯერებ: სოზილალა, ორაგული, ზურგიელი, არაჟანში ჩაწყობილი სოკო, შამფურზე შემწვარი სუკი, ერთი-ორი ულუფა მწვადი, არაჟანგადასხმული მარწყვი, ტორტი, ნაყინი და ასე შემდეგ. ამ რაციონს ვურჩევ ყველა ახალგაზრდა სპორტსმენს.

რა ვიყავი მე ადრე? ორთქლის ურო. რა ვარ მე ახლა? დარტყმის მხატვარი.

თარგმნა ც. დოლობერიძემ.

ნახ. გ. იაშვილისა.

● სტოკჰოლმი, 26 იანვარი. შვეციისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ეროვნული გუნდების გუშინ გამართული მეორე ამხანაგური შეხვედრაც კვლავ საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ დამთავრდა და ამჯერადაც 2 გოლის უპირატესობით. გუშინდელი მატჩის ანგარიშია 2:0. ორივე შაიბა გაიტანა ფირსოვმა.

● ბევერვეიკი, 26 იანვარი. ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ ფინიშამდე ერთი ტურით ადრე დაისაკუთრა I პრიზი აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში. XIII ტურში მან ქულა გაიყო რუმინეთის მრავალგზის ჩემპიონ ფ. გეორგიუსთან და 11 ქულით მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მის უახლოეს მეტოქეს — უნგრელ ლ. პორტიშს, ერთადერთს, რომელმაც ამ შეჯიბრებაში კორჩნოის მოუგო, 8,5 ქულა აქვს. პორტიშის მიმყოლთ — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალსა და ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ვ. ჰორტს 7,5-7,5 ქულა აქვთ.

[illegible]

გუშინ...

კუპერმანმა შეინარჩუნა ჩემპიონობა

ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის გუშინდელი, XIX პარტია კუპერმანის უპირატესობით წარიმართა. 49-ე სვლაზე უკვე უიმედო პოზიციაში ჩემპიონის წოდების მაძიებელმა ანდრეიკომ საკონტროლო დროს გადააცილა და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 10,5:8,5 კუპერმანის სასარგებლოდ, რომელმაც შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოსული მრავალრიცხოვანი თბილისელი მაყურებელი მხურვალედ მიესალმა კიეველ დიდოსტატს.

მატჩის ბოლო, XX პარტია გაიმართება ხვალ.

უიმბლდონი ნისლის საბურველში

მიიღებენ თუ არა მონაწილეობას საბჭოთა ჩოგბურთელები 1968 წლის უიმბლდონის ტურნირში?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი **ვ. კოლეგორსკი:**

ეს საკითხი ახლა ჩოგბურთის ბევრ გულშემატკივარს აღელვებს. პრობლემა შექმნა ინგლისის ჩოგბურთის ასოციაციის სენსაციურმა გადაწყვეტილებამ, რომ 1968 წლის უიმბლდონის ტურნირი იქცეს ეგრეთ წოდებულ „ოპენ-ტურნირად", ესე იგი, შეჯიბრებად, რომელშიც მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებიც იასპარეზებენ. მოგაგონებთ, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ბოლო კონგრესებზე ბევრი ეროვნული ფედერაცია „ოპენ-ტურნირების" ჩატარების წინააღმდეგ გამოვიდა. ასეთი პოზიცია დაიკავეს სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმაც.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდებით, იმ მოყვარულ ჩოგბურთელს, რომელიც თუნდაც ერთ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს პროფესიონალთან, დისკვალიფიკაცია ეძლევა. გამოდის, რომ ინგლისის ჩოგბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება უიმბლდონის კარს უკეტავს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საუკეთესო მოყვარულ ჩოგბურთელებს (მათ შორის, საბჭოთა სპორტსმენებსაც).

ინგლისის პირველი „ოპენ-ტურნირის" გახსნა 21 აპრილისთვისაა დაგეგმილი (გრუნტიან კორტებზე). ამასთან დაკავშირებით, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა დე სტეფანიმ (იტალია) განაცხადა, რომ თუ ინგლისელები თავიანთ გადაწყვეტილებას განახორციელებენ, ინგლისის ჩოგბურთის ასოციაცია მეორე დღესვე, ეს იგი, 22 აპრილს, გაირიცხება საერთაშორისო ფედერაციის რიგებიდან.

იქნებ ინგლისის ჩოგბურთის ლიდერებმა აწონ-დაწონეს „ოპენ-ტურნირების" ჩატარების საკითხი და უარი თქვან ამ უცნაურ წამოწყებაზე? მათ ჯერ კიდევ აქვთ გონივრული ნაბიჯის გადადგმის დრო. სწორედ ამისკენ მოუწოდებს მათ სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის წერილი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაეგზავნა ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციას.

ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციას

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ პრესის ცნობით შეიტყო, რომ ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა უიმბლდონის ტურნირი ღია შეჯიბრებად გამოაცხადოს, ესე იგი, მასში მონაწილეობის უფლება მისცეს პროფესიონალ ჩოგბურთელებს, მოაწყოს კიდევ რამდენიმე „ოპენ-ტურნირი".

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ბრიტანეთის ასოციაცია, როგორც ბევრი სხვა ასოციაცია, მათ შორის, სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციაც, უაღრესად შეაშფოთა სამოყვარულო ჩოგბურთში შექმნილმა ვითარებამ, იმან, რომ ბევრი მოყვარული ჩოგბურთელი სხვადასხვა ფორმით მოითხოვს და იღებს კიდეც ფულად ჯილდოს თამაშისთვის.

საიდუმლო არ არის, რომ ტურნირების ორგანიზატორები, რომლებიც დაინტერესებული არიან შეჯიბრებაში კარგი მოთამაშეების მიზიდვით, ხშირად იძულებული ხდებიან, რომ ჩოგბურთის ვარსკვლავებთან ნამდვილი ვაჭრობა გამართონ ჰონორარის გამო, შემდეგ კი მოზრდილი თანხა გადაუხადონ ან ძვირფასი საჩუქრები მიართვან მათ. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ასოციაციები და კლუბები, რომლებსაც არ სურთ ან საშუალება არა აქვთ მოყვარულებისთვის ამ საზღაურის გადახდისა, კარგავენ იმის შანსს, რომ თავისი ქვეყნისა თუ ქალაქის მოყვარულებს მაღალი კლასის თამაში უჩვენონ.

აშკარაა, რომ სამოყვარულო ჩოგბურთში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ამგვარ პრაქტიკასთან გადამწყვეტი ბრძოლაა საჭირო, საჭიროა მკაცრად დაისაჯონ ისინიც, ვინც სპორტული გამოსვლისთვის ფულად ჯილდოს ითხოვს, და ისინიც, ვინც ამ საფასურს იხდის.

აშკარაა მეორეც: „ოპენ-ტურნირების" ორგანიზაცია მტკივნეულ პრობლემას არ წყვეტს. იგი არის ცდა, რომ დამკვიდრდეს მოყვარული სპორტსმენებისთვის უკადრისი წადილი სპორტში მატერიალური გამორჩენისა, ჩოგბურთში დამყარდეს წესები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სამოყვარულო სპორტის ინტერესებს, არღვევენ მის მორალურ პრინციპებს.

შარშან ივლისში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უმთავრესად ამ მოსაზრებით უარყო „ოპენ-ტურნირების" ჩატარება 139 ხმით 83 ხმის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება „ოპენ-ტურნირების" ორგანიზაციის თაობაზე, რომელიც ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციამ მიიღო, ჩრდილს ჰფენს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესტიჟს, ქაოსს ქმნის სამოყვარულო ჩოგბურთში, უდიდეს ზიანს აყენებს მას.

აი, რატომაა, რომ სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაცია თავის კოლეგებს — წევრებს ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციისა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩოგბურთის განვითარებისთვის, მოუწოდებს: ვიდრე დრო ჯერ კიდევ ნებას გვაძლევს, გადასინჯონ გადაწყვეტილება „ოპენ-ტურნირების" ორგანიზაციის შესახებ.

პირველ ყოვლისა ეს ეხება უიმბლდონის ტურნირს, რომელიც ყველა კონტინენტის მოყვარული ჩოგბურთელებისთვის მუდამ იყო ჩოგბურთის დიდებული დღესასწაული, ფაქტიურად, მსოფლიოს პირად პირველობად აღიარებული შეჯიბრება, სხვადასხვა ქვეყნის ჩოგბურთელთა მეგობრობის სიმბოლო. როგორც ცნობილია, მაყურებლის ინტერესი უიმბლდონის ტურნირისადმი იმდენად დიდია, რომ შეჯიბრების დროს ტრიბუნები მუდამ ხავსეა და სულაც არ არის საჭირო პროფესიონალთა დახმარება ამ ტურნირზე მაყურებლის მიზიდვისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ ერთ-ერთი შესანიშნავი ინგლისური ტრადიცია — უიმბლდონის ტურნირის, როგორც მთელი მსოფლიოს ჩოგბურთის მოყვარულთა ყველაზე ნათელი ზეიმის ყოველწლიური ორგანიზაცია შენარჩუნებული იქნება.

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაცია.

სტუდენტებში ენთუზიასტებს რა გამოლევს!

ინსბრუკი, 25 იანვარი. უნივერსიადა მწვავე და საინტერესო ბრძოლებით ხასიათდება. ჰოკეისტთა ტურნირის ბოლოსწინა, თუმცა გადამწყვეტ მატჩს, რომელიც დღეს გაიმართება, ორი გუნდი მიადგა წაუგებლად: სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

გუშინწინ დიდი ამბავი იყო ტორონტოს უნივერსიტეტისა და ფინეთის ჰოკეისტთა შეხვედრისას. კანადიდან ტურისტთა დიდი ჯგუფი ჩამოვიდა და არც გაწბილებულა: მატჩი მართლაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეკარეებმა. ტრიბუნებზე კი ისეთი წივილკივილი იყო, გეგონებოდათ ეს მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი თამაშიაო.

სტუდენტთა შორის ბევრია ნამდვილი ენთუზიასტი. აი, თუნდაც კეროლაინ ლაური ავიღოთ — ახალი ზელანდიის ერთადერთი წარმომადგენელი. იგი ველინგტონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსზე სწავლობს. ვარჯიშობს ორი ჩამქრალი ვულკანიდან ერთ-ერთის ფერდობებზე — მთელ ახალ ზელანდიაში მხოლოდ ამ მიდამოებში ჩერდება თოვლი. და აი, ეს ქალიშვილი ყოველგვარი ოფიციალური განაცხადის გარეშე, თავისი ფულით ჩამოვიდა ინსბრუკში, რათა თანატოლებს — სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულებს შეჯიბრებოდა.

საბჭოთა სტუდენტების გუშინდელი ნადავლია ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ისინი 15-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში მოიპოვეს კიროველმა ე. პლატუნოვმა და ლენინგრადელმა ა. ზახაროვმა.

მოთხილამურე მრბოლელებისა და ორჭიდელების შეჯიბრებამ 14 ქვეყნის 87 მონაწილეს მოუყარა თავი. საბჭოთა ვაჟები მხნედ და შეთანხმებულად ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლო კილომეტრებზე ნორვეგიელმა ი. ჰოლასმა მოულოდნელად „საშინელი" ტემპი განავითარა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა — 48.41,6

მომდევნო ადგილები საბჭოთა სტუდენტებს ხვდათ: პლატუნოვს (48.48,5), ზახაროვს (48.51,6), სილაევს (პერმი), ჩარკოვსკის (მოსკოვის ოლქი).

ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. ერმოლენკომ 60-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში „მფრინავ მოთხილამურეთა" შორის V, ხოლო ორჭიდელებში — II ადგილი დაიკავა. (ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე" მ. გავა XI ადგილზეა). იაპონელ ხ. იტაგაკისთვის რომ ეჯობნა (იტაგაკის ტოლი არ ჰყავდა ტრამპლინიდან ხტომაში), ერმოლენკოს მასზე 1 წუთითა და 40 წამით უფრო სწრაფად უნდა გაერბინა 15 კმ. მან ამ ცნობილი ტოკიოელი ორჭიდელის, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის მონაწილის შემდეგ აიღო სტარტი და „გრაფიკის" დაცვით მირბოდა კიდეც, მაგრამ მეათე კილომეტრზე თხილამური გაუტყდა და რბოლას გამოეთიშა. ყველაზე კარგად იაპონიის ოლიმპიური გუნდის ორჭიდელებმა იასპარეზეს, საბჭოთა სპორტსმენები კი ამჯერად უნივერსიადამ უმედლებოდ დატოვა.

უხეირო ტრადიციის თანახმად, კვლავ ვერაფრით გამოიჩინეს თავი საბჭოთა სამთომოთხილამურეებმა, თუმცა აქ უძლიერესი ოლიმპიური შემადგენლობაა ჩამოსული. პირველ შეჯიბრებაში — ვაჟთა გიგანტურ სლალომში პირველ 30 ადგილზე გასულთა შორის ვერ მოხვდა ვერც ერთი ჩვენი სპორტსმენი. ქალთა შეჯიბრებაში მოსკოველმა ნ. მერკულოვამ X ადგილი დაიკავა.

სამაგიეროდ, კიროველმა მოციგურავე ა. ჩეკულაევმა ოქროს 3 მედალი მოიხვეჭა (3.000, 1.500 და 5.000 მეტრზე) და ალბათ ვერავინ შეძლებს მისი ამ „რეკორდის" გაუმჯობესებას.

„№ 2 გმირი" გახდა 23 წლის იტაგაკი, რომელსაც ოქროს 2 მედალი გადაეცა (ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში გამარჯვებისთვის).

ს უ რ ა თ ზ ე: ერთეულთა სრიალში გამარჯვებულ საბჭოთა ფიგურისტს ვ. კურენბინს ოქროს მედალს გადასცემენ.

ტელეფოტო ვოტავაფოტო-ხაკდესისა.

საკრეჭი მოგვითხრობს

ხუთ-ხუთი...

ინსბრუკი, 25 იანვარი. 11 ქვეყნის — სსრ კავშირის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, გფრ-ის, ავსტრიის, პოლონეთის, ფინეთის, აშშ-სა და იტალიის სტუდენტებმა უკვე მიიღეს თითო უნივერსიადის მედლები, ჩემპიონებად კი პირველი 7 სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან აღიარებული

ჩვენს სპორტსმენებს 25 იანვრისთვის ყველა მედალი ხუთ-ხუთი ჰქონდათ — 5 „ოქრო", 5 „ვერცხლი", 5 „ბრინჯაო". პრიზების რიცხვით ახლა მათ ვეღარავინ გაუსწრებს.

იაპონელებს, რომლებიც II ადგილზე არიან, დღეისთვის ოქროსა და ვერცხლის 3-3 და ბრინჯაოს 4 — მედალი აქვთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენები „სამსონები" მაინც არ არიან.

ახალი წარმატება მოპოვებულია დღესაც. ჩვენმა ქალებმა მოიგეს სათხილამურო ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე. რბოლის დროს ყინავდა და თან ხვავრიელი, სველი თოვლი მოდიოდა. რბენა ჭირდა, მაგრამ სვერდლოვსკელი ჟ. ილისტრატოვა სტარტიდანვე დაწინაურდა. მას კვალდაკვალ მიჰყვა... ისევ წითელ სვიტერში გამოწყობილი ქალი. ეს იყო ჟანას თანამემამულე ტ. პესტრიაკოვა. რატომ ასპარეზობდა ესტაფეტის ამ ეტაპზე ერთი ქვეყნის წარმომადგენელი ორი სპორტსმენი? ეს სულ იოლად აიხსნება: მონაწილეთა თხოვნით, ერთი გუნდი ინტერნაციონალურია. მასში შევიდნენ ტ. პესტრიაკოვა (სსრ კავშირი), ბ. მაიერჩიკი (პოლონეთი) და ე. პეშინსკა (ბულგარეთი).

მეორე ეტაპზე სვერდლოვსკელმა ლ. დრონინამ საუკეთესო დრო აჩვენა — 21.05,2. შემდეგ ეს წარმატება განამტკიცა მოსკოველმა სპორტსმენმა, რკინიგზის მომავალმა ინჟინერმა, ჩვენს გუნდში ყველაზე ტანმორჩილმა ლ. მეხშიკოვამ. გამარჯვებულთა დ რ ო ა 1:04. 37,8. ვერცხლის მედლები გადაეცათ პოლონელ სპორტსმენებს, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეებს (მესამე შედეგი ინტერნაციონალურმა გუნდმა აჩვენა, მაგრამ იგი უკონკურსოდ ასპარეზობდა).

სპორტსმენები თავგამოდებით იბრძვიან უნივერსიადის მედლებისთვის. ავსტრიელმა კრისტა დიტფურტმა, რომელმაც სწრაფდაშვებაში ვერცხლის მედალი მიიღო, გვითხრა: „მე ავსტრიის ნაკრებში ვმუშაობ ენების მასწავლებლად. ჩემმა გოგონებმა მითხრეს, თუ შეჯიბრებას არ მოიგებ, გიჯობს ვენაში არ დაბრუნდეო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო. ისინი ჩემი მეორე ადგილითაც უთუოდ კმაყოფილი იქნებიან. მით უმეტეს, რომ პირველობა მხოლოდ ჩემს კოლეგას დავუთმე. ეს გახლავთ ცნობილი შვეიცარიელი სპორტსმენი ჰაიდი ობრეჰტი, რომელიც თან სწავლობს და თან უცხო ენებს ასწავლის თავისი ქვეყნის ნაკრების სპორტსმენ ქალებს".

დღეს ავსტრიის გაზეთებში სტუდენტური სპორტისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილია გამოქვეყნებული. დიახ, სტუდენტურ სპორტს პერსპექტიული მომავალი აქვს და, როგორც საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, იტალიელმა პ. ნებიოლომ ჟურნალისტებს განუცხადა, დასანანია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მას ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. ხომ ცნობილია, რომ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონების გზა უმეტესად სტუდენტურ სპორტულ კლუბებში იწყება.

ბევრი სპორტსმენი ინსბრუკიდან მალე გრენობლს გაემგზავრება ზამთრის X ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ. ავსტრიელებმა თითქოს სწორედ ამიტომ უჩვენეს თავიანთ ახალგაზრდა სტუმრებს ფრანგული ფილმი ოლიმპიურ გრენობლზე.

„პანათინაიკოსი" ნანობს

მას შემდეგ, რაც საბერძნეთში ხელისუფლებას „შავი პოლკოვნიკები" დაეუფლნენ, „პანათინაიკოსმა" აღარ განაახლა ხელშეკრულება ცნობილ იუგოსლაველ მწვრთნელ ს. ბობეკთან. ამას სპორტული მიმომხილველები იმით ხსნიდნენ, რომ სასურველი არ იყო ათენში სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლის მუშაობა.

ბობეკის ნაცვლად საბერძნეთის ჩემპიონმა მიიწვია „ბენფიკას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბ. გუტმანი, მაგრამ ფეხბურთის ეს ცნობილი სპეციალისტი უკვე 70 წლისაა და მისთვის მეტად ძნელია მწვრთნელის მოვალეობის შესრულება. ეს მალე დაეტყო კიდეც „პანათინაიკოსს", რომელიც მარცხს მარცხზე განიცდიდა.

ასეთ პირობებში „პანათინაიკოსის" დირექტორატმა ისევ მობოდიშება ამჯობინა. მან დელეგაცია აფრინა ბელგრადში, სადაც ბობეკი ახლა „პარტიზანის" მთავარი დამრიგებელია და უკან მიიწვია მწვრთნელი. ამასთან, საბერძნეთის ჩემპიონმა ბობეკს ადრინდელზე ორჯერ მეტი ხელფასი და ერთდროული თანხა — 6 ათასი დოლარი შესთავაზა.

ბობეკმა „პანათინაიკოსის" დელეგაციას უარი უთხრა.

ზვიგენებთან შეჯიბრებაში



ცნობილი ავსტრალიელი სპორტსმენი, 23 წლის ლინდა მაკგილი ლა-მანშის გადაცურვის მონაწილეა. ახლახან მან პირველმა გადაცურა პორტფილიპის ყურე (ავსტრალია), რომელიც ზვიგენების მრავალრიცხოვანი „კონტინგენტითაა" განთქმული. ლინდამ 40 კილომეტრი 13 საათში გაცურა და გაუსწრო მასთან მოასპარეზე ყველა ვაჟს. გაცურვის მონაწილეებს მთელ გზაზე ზვიგენები მიაცილებდნენ, მაგრამ მოცურავეები მათ ყურადღებას არ აქცევდნენ: სპორტსმენებს მათგან იცავდა საგანგებო ბადე, რომელიც კატარღას მიჰქონდა.

ს უ რ ა თ ზ ე: ლინდა მაკგილი გაცურვის დროს.

ფოტო ჯაპან-ტაიმს-აასისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

1 თებერვალს

ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 49) იწყება ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარი წარმოებიდან მოუწყვეტლივ, რომელსაც აწყობს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია.

მსურველებს ცნობისთვის შეუძლიათ მიმართონ ი. ბოჭორაძეს თბილისის სპორტკავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6).

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 03127